Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

ხელშეკრულება 15/11/12/01

(საქონლის ?ესყიდვის შესახებ)

ქ. თბილისი 15 ნოემბერი 2012 წ.

ერთის მხრივ **შპს „ციტადელი“** ს/კოდი 404 924 285, რომელიც წარმოდგენილია, წესდების საფუძველზე მოქმედი მისი დირექტორის **გრიგოლ ქურცაძის** სახით, შემდგომში „გამყიდველი“ და მეორეს მხრივ **სსიპ** „თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი“ ს/კოდი 201948928 (რომელიც წარმოდგენილია მისი მმართველის დავით დოიაშვილის სახით, შემდგომში „მყიდველი“ ვეყრდნობით რა თანას-წორუფლებიანობის, კანონიერების, ნებაყოფლობითობისა და პარტნიორობის პრინციპებს ვდებთ აღ-ნიშნულ ხელშეკრულებას მასზედ რომ:

მუხლი 1. *ხელშეკრულების საკანი*

1.1 „გამყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას „მყიდველს“ მიაწოდოს: **კონსტრუქციის მასალები (CPV 44100000) კერძოდ: ფანერა 10*1525*1525 მმ IV/IV 100 ცალი**

1.2.საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კატეგორიის საქონელისთვის არსებულ და აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებს.

1.3. **საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების დღეს.**

მუხლი 2. *მხარეთა ვალდებულებები*

2.1. „გამყიდველი“ ვალდებულია შეთანხმებულ ვადებში მიაწოდოს საქონელი „მყიდველს“, რაც უნდა დადასტურდეს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე.

2.2. „მყიდველი“ ვალდებულია დროულად მიიღოს საქონელი და მისი თანმხლები დოკუმენტაცია, შეთანხმებულ ვადებში მოახდინოს ანგარიშსწორება. საქონელში წუნის, უხარისხობის ან დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში არაუგვიანეს **5(ხუთი)** კალენდარული დღისა აცნობოს „გამყიდველს“.

მუხლი 3. *საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი*

3.1. საქონლის ღირებულება:

ფანერა 10*1525*1525 მმ IV/IV 100 ცალი 1 ცალის ღირებულება 26,30 ლარი.

3.2. კონტრაქტის სრული ღირებულებაა **2630,00 (ორი ათასი ექვსასოცდაათი)** ლარი;

3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება **ნაღდი ან უნაღდო** ფორმით,სრული თანხის 50% 1315 (ათას სამას თხუთმეტი) ლარი გადახდილი იქნება საქონლის მიწოდების დღეს, ხოლო დანარჩენი 50% 1315 (ათას სამასთხუთმეტი ლარი გადახდილი იქნება საქონლის მიღებიდან არაუგვიანეს **30 (ოცდათი)** კალენდარული დღისა.

მუხლი 4. *საქონლის მიწოდება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

4.1. მიწოდების პირობების შეთანხმება ხდება სატყვიერად, კონკრეტული შესყიდვის დროს.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქალაქი თბილისი. მიწოდების ადგილის ცვლილების შემთხვევაში „მყიდველი“ ვალდებულია, გონივრულ ვადაში წინასწარ აცნობოს „გამყიდველს“ აღნიშნულის შესახებ.

4.3. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან .

მუხლი 5. *მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას.*

Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

5.1. მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულები შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

5.3. საჯარიმო სანქციები გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

მუხლი 6. *პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება(ფორსმაჟორი)*

6.1. არცერთი მხარე პასუხს არ აგებს ნაკისრი ვალდებულებების რაიმე სახით შეუსრულებლობაზე, თუ იგი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით(სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფა, ხანძარი, საომარი მოქმედებები, სამთავრობო გადაწყვეტილებები, სოციალური აფეთქება და სხვა მსგავსი მოვლენები)
6.2. ფორსმაჟორული სიტუაციის დასრულების შემდეგ, მხარეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წყვეტენ ხელშეკრულების გაგრძელების საკითხს.

მუხლი 7. *პრეტენზიები და დავის გადწყვეტა*

7.1. მხარეთა მიერ პრეტენზიების წაყენება ხდება ხელშეკრულების საფუძველზე და/ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2. სადავო საკითხების გადაწყვეტა ხდება ურთიერთმოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით და /ან მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ხელშეკრულება შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

გამყიდველი:	**მყიდველი:**
შპს „ციტადელი“	სსიპ „თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი“
ქ. თბილისი, დ. თავდადებულის ქ. №16/50	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 182
ს/კოდი 404 924 285	ს/კოდი 201948928
სს „პროკრედიტ ბანკი“	სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGGE22	ბანკის კოდი:TBCBGE22
ა.ა. GE03PC0223600100011777	ა.ა. GE49TB5610636080100006
დირექტორი:	თეატრის მმართველი:
გრ. ქურციძე	დავით დოიაშვილი